ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203601209**
თარიღი: **25/12/2020**
პინი: **9574**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 22 დეკემბრის #60-0120357494 წერილი და AR1795415 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე გიორგი მირიანაშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,NES TRAVEL’’-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ქუჩა დედოფლისწყაროს #5/ქალაქი თბილისი, დედოფლისწყაროს ქუჩა #3 ს.კ. #01.17.01.080.038) (სზ-5; ტზ-1) III კლასის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის/სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა შენობის განთავსების სქემით და მწვანე ნარგავებით) **ტერიტორიაზე ფიქსირდება 2 ძირი ვაზი (ხილ-კენკროვანი).**

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ამდენად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული 2 ძირი ხილ-კენკროვანის მოჭრა/გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.**

**შესაბამისად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე.**

აქვე, გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია

პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა).**

**ასევე, ვერხვის სახეობები** ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-**10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.**

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

**დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).**

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

# მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 1 დეკემბერი 2020წ.

**მისამართი:**

ქალაქი თბილისი , ქუჩა დედოფლისწყარო, N 5;

ქალაქი თბილისი , დედოფლისწყაროს ქუჩა , N 3;

**საკადასტრო კოდი:**

01.17.01.080.038 ;

**ფართობი:**

619.0 კვ.მ.

**მესაკუთრე:**

შპს "NES TRAVEL", ID ნომერი: 404398200

**საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:**

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

**ცხრილი№1**

| № | სახეობა | სასიცოცხლო ფორმა | D (ფს.ყ. 10სმ-ზე) | მცენარის ზოგადი მდგომარეობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაზი (Vitis) | მხვიარა | 7 | ჯანსაღი | ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა- გადარგვას |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | ვაზი (Vitis) | მხვიარა | 8 | ჯანსაღი | ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა- გადარგვას |

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 2

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 2

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : -

ხმობადი ხე–მცენარეები : -

ზეხმელი ხე–მცენარეები : -

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1

1. ხილ-კენკრვანი სახეობის ხე- მცენარე 2 ძირი:

12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 8 ძირი:

1ძირი(№ 1, 2) - ვაზი(Vitis).

ექსპერტი: 


გიორგი ტივაძე









ЗАБОРОНЯЄТЬСЯ ЗНІМАТИ ЦЮ ІНФОРМАЦІЙНУ ТАБЛИЦЮ ТА ЗМІНЮВАТИ ЇЇ ЗМІСТ БЕЗ ПОГОДЖЕННЯ З ЗАМОВНИКОМ ТА ВИГОТОВНИКОМ ПРОЕКТУ



# სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტი




## დენდროლოგია

2022წ

# ორთოფოტო






პროექტის დასახელება:

სასტუმრო ავლაბარში
არქიტექტურული პროექტი

მისამართი:
ქ.თბილისი, დედოფლისწყაროს
ქუჩა N3 დედოფლისწყაროს ქუჩა N5

ს/კ **01.17.01.080.038**

შემსრულებელი

შპს "ნიუ სითი დეველოფმენთ"
ს/ნ 205249248

მისამართი: საქართველო. თბილისი
საანდღელიძის №6
ტელეფონი: 551778888
ელ.ფოსტა: info@ncd.ge

ნახაზის დასახელება

ორთოფოტო

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ა.ზერაქიძე | |
| არქიტექტორი | ლ. ძაგნიძე | |
| შეასრულა | ე. სუთიძე | |

| | | |
|---|---|---|
| მასშტაბი | | |
| ფორმატი | | A-3 |
| ფურცელი | 17.2 | |
| თარიღი | | 2020 წ. |

# სამუშაოთა მოცულობა

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ნოყიერი მიწის ნაზავის დამატებით ორმოებში (ორმოს ზომა 0.8X0.8X1.5) | ცალი | 7 | 6.72 კუბ.მ მიწის ნაზავი |
| 2 | არსებული ხილ-ჯენჯროვანი სახეობის ხე-მცენარის (ვაზი) მოჭრა | ცალი | 2 | |
| 3 | 15 სმ სისქის ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანა და გაშლა ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად 160.0 კვ.მ ფართობზე | კუბური მეტრი | 24 | |
| 4 | გამწვანებული ფილების მოწყობა | კვ.მეტრი | 160 | |
| 5 | ახლადჩარგული ხეების (იტალიური ფიჭვი) ფორმირება ( გაკრეჭა) | ცალი | 7 | |
| 6 | ხეების დამაგრება ქარისგან დასაცავად | ცალი | 7 | |
| 7 | ახლადჩარგული მცენარეებისა და გამწვანებული ფილების მორწყვა | მთელი გამწვანებული ტერიტორია | | |

## შენიშვნა:

1. პროექტი ითვალისწინებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული არსებული ხილ-ჯენჯროვანი სახეობის ხე-მცენარის (№1 და №2 ვაზი) მოჭრას.
ჯ-3 კოეფიციენტი (160 კვ.მ) სრულიად ათვისებულია დასარგავი ნარგავებით (7ც იტალიური ფიჭვის ხე)
7ც ხე - (7*25) 160კვ.მ.
შესაბამისად, 160 კვ.მ ფართობზე მწვანე ნარგავების რაოდენობა ალემატება გასათვალისწინებელს.
2. ხეების ჩარგვისას გათვალიწინებულ იქნას აგროტექნიკის ნორმები, მცენარეები ჩაირგას კომით, არასავეგეტაციო პერიოდში.
3. დასარგავი ნერგების მინიმალური ზომა: სიმაღლე არანაკლებ 3.0მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20სმ
4. უზრუნველყოფილ იქნას მცენარეების მორწყვა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.



პროექტის დასახელება:

სასტუმრო ავლაბარში
არქიტექტურული პროექტი

მისამართი:
ქ.თბილისი, დედოფლისწყაროს
ქუჩა N3 დედოფლისწყაროს ქუჩა N5

ს/კ **01.17.01.080.038**

შემსრულებელი

შპს "ნიუ სითი დეველოფმენთ"
ს/ნ 205249248

მისამართი: საქართველო. თბილისი
საკანდელიძის №6
ტელეფონი: 551778888
ელ.ფოსტა: info@ncd.ge

ნახაზის დასახელება

სამუშაოთა მოცულობა;

არსებული და საპროექტო
ნარგავების ექსპლიკაცია

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ა.ზერაქიძე | |
| არქიტექტორი | ლ. ქაბნიძე | |
| შეასრულა | ე. სუთიძე | |

| | | |
|---|---|---|
| მასშტაბი | | |
| ფორმატი | | A-3 |
| ფურცელი | 17.3 | |
| თარიღი | | 2020 წ. |

# გენგეგმა მოსაჭრელი და დასარგავი მცენარეების დატანით



პროექტის დასახელება:

სასტუმრო ავლაბარში
არქიტექტურული პროექტი

მისამართი:
ქ.თბილისი, დედოფლისწყაროს
ქუჩა N3 დედოფლისწყაროს ქუჩა N5

**ს/კ 01.17.01.080.038**

შემსრულებელი

შპს "ნიუ სითი დეველოპმენთ"
ს/ნ 205249248

მისამართი: საქართველო. თბილისი
საკანდელიძის №6
ტელეფონი: 551778888
ელ.ფოსტა: info@ncd.ge

ნახაზის დასახელება

გენგეგმა მოსაჭრელი და დასარგავი მცენარეების დატანით

| | | |
|---|---|---|
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
| დირექტორი | ა.ზერაქიძე | |
| არქიტექტორი | ლ. ქაბნიძე | |
| შეასრულა | ე. სუთიძე | |
| მასშტაბი | | 1:200 |
| ფორმატი | | A-3 |
| ფურცელი | 17.4 | |
| თარიღი | | 2020 წ. |


- მოსაჭრელი ვაზი 2ც

- გამწვანებული ფილების მოწყობა 160კვ.მ

- საპროექტო ხე 7ც

## გამწვანება:

მიწის ნაკვეთის ფართობი = 619 კ3.მ
გამწვანება =160 კ3.მ
კ-3 = 160 / 619 = 0.3






პროექტის დასახელება:

სასტუმრო ავლაბარში
არქიტექტურული პროექტი

მისამართი:
ქ.თბილისი, დედოფლისწყაროს
ქუჩა N3 დედოფლისწყაროს ქუჩა N5

ს/კ **01.17.01.080.038**

შემსრულებელი

შპს "ნიუ სითი დეველოფმენთ"
ს/ნ 205249248

მისამართი: საქართველო. თბილისი
საკანდელიძის №6
ტელეფონი: 551778888
ელ.ფოსტა: info@ncd.ge

ნახაზის დასახელება

კ-3 ის სანგარიშო პროექი

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ა.ზერაქიძე | |
| არქიტექტორი | ლ. ქაგნიძე | |
| შეასრულა | ე. სუთიძე | |

| | | |
|---|---|---|
| მასშტაბი | | 1:100 |
| ფორმატი | | **A**-3 |
| ფურცელი | 17.5 | |
| თარიღი | | 2020 წ. |

**შენიშვნა:**


1. მცენარეები შერჩეულია ჯლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით;
2. მოცემული მცენარის შეცვლა შესაძლებელია პროექტის ავტორთან შეთანხმებით;
3. მცენარეთა ჩარგვისას დაცული იქნას აგროტექნიკის ნორმები;
4. გამწვანების პროექტი დასრულდეს მშენებლობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში;
5. ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი კომპანია შპს "NES TRAVEL";
6. გაშენებული ხე-ნარგავების მოვლა პატრონობის ხანგრძლივობა სამი წელი.

## ვიზუალიზაცია






## გენგეგმა




## პირობითი აღნიშვნები

- გამწვანებული ფილების მოწყობა 160კვ.მ

- მოსაჯრელი ვაზი 2ც

- საპროექტო ხე 7ც



პროექტის დასახელება:

სასტუმრო ავლაბარში
არქიტექტურული პროექტი

მისამართი:
ქ.თბილისი, დედოფლისწყაროს
ქუჩა N3 დედოფლისწყაროს ქუჩა N5

ს/კ **01.17.01.080.038**

შემსრულებელი

შპს "ნიუ სითი დეველოფმენთ"
ს/ნ 205249248

მისამართი: საქართველო. თბილისი
საანჯელიძის №6
ტელეფონი: 551778888
ელ.ფოსტა: info@ncd.ge

ნახაზის დასახელება

პირობითი აღნიშვნები, ვიზუალიზაცია, შენიშვნა

| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| დირექტორი | ა.ზერაქიძე | |
| არქიტექტორი | ლ. ძაბნიძე | |
| შემსრულა | ე. სუთიძე | |
| მასშტაბი | | 1:250, 1:200 |
| ფორმატი | | A-3 |
| ფურცელი | 17.6 | |
| თარიღი | | 2020 წ. |

# დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "**NES TRAVEL**"
**ID** ნომერი 404398200

საპროექტო ტერიტორია: ს/კ 01.17.01.080.038

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კ-3 გამწვანების კოეფიციენტი: 0.3 - 160 კვ.მ

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:
2022 წელი

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი:
2026 წელი

დასარგავი ხის სახეობა - იტალიური ფიჭვი

დასარგავი ხის რაოდენობა -7ც


მოსაჭრელი ნარგავების სახეობა - ვაზი

მოსაჭრელი ნარგავების რაოდენობა - 2 ც

ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი კომპანია შპს "**NES TRAVEL**"

ახალდარგული ხეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა - 3 წელი

განაშენიანება



ვიზუალიზაცია

